

## ქეთევან გოჩიტაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# საინფორმაციო ტექნოლოგიები უცხო ენის სწავლა/სწავლების პროცესში

## აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს, თუ რა როლს თამაშობს ელექტრონული საინფორმაციო საშუალებები მეორე/უცხო ენის შესწავლის პროცესში. ერთი მხრივ, თავად უცხო ენის სწავლების მიდგომების შეცვლამ და, მეორე მხრივ, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ზოგადად სასწავლო პროცესის ფორმირებაზე. ამ მხრივ გამონაკლისი არც მეორე/უცხო ენის სწავლებაა. თანამედროვე შემსწავლელებისათვის ელექტრონული აპლიკაციების გამოყენება მათი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ამდენად, სასწავლო კურსში მათი ინტეგრირება სასწავლო პროცესს კომფორტულად აქცევს.

სტატია პრაქტიკული ხასიათისაა. მასში მოცემულია, თუ როგორ შეიძლება ამა თუ იმ ელექტრონული რესურსის გამოყენება კონკრეტული ენობრივი კომპეტენციების გასავითარებლად. გარდა არსებულ სამეცნიერო წყაროებში მოცემული ინფორმაციისა, კვლევაში გადმოცემულია ჩვენი პირადი გამოცდილება, რომელიც სწავლების პროცესში დაგროვდა. თითოეულ ელექტრონულ სასწავლო რესურსს ახლავს მოკლე მიმოხილვა, რა შემთხვევაში და როგორ შეიძლება მისი გამოყენება.

*საკვანძო სიტყვები:* მეორე/უცხო ენის სწავლება; ელექტრონული საშუალებები; სასწავლო პლატფორმები.

## შესავალი

უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩემი პრაქტიკული მუშაობა და თეორიული კვლევები უკავშირდება, ერთი მხრივ, მეორე/უცხო ენის სწავლებას და, მეორე მხრივ, ელექტრონული განათლებისა და

მულტიმედია საშუალებების დანერგვას სწავლების პროცესში. საკუთარმა პედაგოგიურმა პრაქტიკამ ნათლად დამანახა ის უპირატესობები, რომლებიც უცხო/მეორე ენის სწავლებაში ელექტრონული საშუალებების ინტეგრირებას ახლავს. ეს სტატია

არის არა იმდენად თეორიული კვლევა, არამედ პრაქტიკული შეთავაზებები, თუ რომელი პედაგოგიური ამოცანების მისაღწევად და როგორ უნდა ჩაერთოს ელექტრონული საშუალებები ენობრივი განათლების პროცესში.

### **გამოყენებული მეთოდები**

სტატიაში გამოყენებულია აღწერითი მეთოდი უცხო ენის სწავლებაში არსებული თანამედროვე მეთოდებისა და კომპიუტერული / ელექტრონული სასწავლო პლატფორმების გასაცნობად სტრუქტურულ, ფუნქციონალურ და ინტერაქტიულ მეთოდებთან / მიდგომებთან კავშირში. გამოყენებულია პრაგმატული მიდგომა, კერძოდ, გამოყენებულია სხვადასხვა მკვლევრის მოსაზრებებისა და მიდგომების კომბინაცია საკუთარი მოსაზრების ფორმირების პროცესში.

### **ელექტრონული საშუალებები და მეორე/უცხო ენის სწავლება**

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში კომპიუტერი და მასთან დაკავშირებული ელექტრონული საშუალებები სულ უფრო მზარდ როლს თამაშობს საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობისას. „ციფრულმა რევოლუციამ“, ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მსგავსად, მნიშვნელოვნად შეცვალა სასწავლო გარემოს ლანდშაფტი. თუკი არც თუ ისე დიდი ხნის წინ პირისპირ (Face To Face) სწავლება უალტერნატივო სასწავლო გარემოდ მიიჩნეოდა (სადაც მედია იყო დაფა, ინფორმაციის ცალმხრივად გავრ-

ცელებისათვის მეტად მოსახერხებელი საშუალება, ხოლო მოგვიანებით ოვერჰედ-პროექტორი, რომელიც, აგრეთვე, მეტად გამოსადეგი ინსტრუმენტია იმ გარემოსათვის, რომელშიც მასწავლებელი დომინანტური, წამყვანი ფიგურაა), ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების შესაძლებლობების განვითარების კვალდაკვალ, მას გამოუჩნდნენ კონკურენტები შერეული (Blended) და ელექტრონული განათლების სახით. ახალი ტიპის სასწავლო გარემოს ფორმირება ბუნებრივად მოითხოვს ახალი საგანმანათლებლო მეთოდების დანერგვას, რომლებშიც ინტეგრირებულია ICT (ინფორმაციული და კომუნიკაციური) ტექნოლოგიები პედაგოგიური და საგანმანათლებლოს ამოცანების შესასრულებლად. იგულისხმება საგანმანათლებლო მეთოდები, რომელთა დამკვიდრებისა და დანერგვისათვის კომპიუტერი გამოყენებულია, როგორც შუამავალი შემსწავლელსა და მასწავლებელს შორის. სწავლება და სწავლა ხდება IT ტექნოლოგიებით. მულტიმედიური საშუალებები და ინტერნეტი ხელმისაწვდომს ხდის მომსახურებასა და რესურსებს, აადვილებს გამოცდილების გაზიარებასა და ურთიერთთანამშრომლობას (სიერა; <http://www.hltmag.co.uk/jun09/sart06.htm>).

მეორე/უცხო ენის სწავლა ხანგრძლივი და რთული პროცესია, რომელიც სტუდენტისაგან მოითხოვს მაღალ მოტივაციას, სურვილს, ნებას, ენერჯიას, დროს და ა. შ. კურიკულუმისა და კურსის ავტორთა, აგრეთვე საგნის

პედაგოგთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას სასწავლო მიზნების შესაბამისი ინსტრუმენტების კურსში ჩართვა და იმპლიმენტაცია უნდა წარმოადგენდეს, რათა გაამრავალფეროვნოს, გაამდიდროს, გააადვილოს სწავლა-სწავლების პროცესი და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დაუახლოვოს ის სტუდენტებისათვის ბუნებრივ და მოხეხებულ გარემოს. თუკი გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე შემსწავლელთა აბსოლუტური უმრავლესობა „ციფრული რევოლუციის“ შემდგომი თობის წარმომადგენელია, რომელთათვისაც ელექტრონული საშუალებები ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით კურსის გამდიდრების მნიშვნელობა სრულიად აშკარა ხდება, რადგან ეს მათთვის მეტად კომფორტული გარემოს შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

მეორე/უცხო ენის სწავლა-სწავლებაში საუკუნეების განმავლობაში მთარგმნელობით-გრამატიკული მეთოდის დომინირებისას (რომელიც, სხვათა შორის, ხშირად, კონსერვატიული საგანმანათლებლო კულტურის ქვეყნებში, დღესაც წამყვან მეთოდს წარმოადგენს), არ და ვერ (მათი არარსებობის გამო) იყენებდნენ ელექტრონულ ტექნოლოგიებს. მოგვიანებით აუდიოლინგვალური მეთოდის გაჩენა ნამდვილ რევოლუციად იქცა ენის სწავლებაში და სწორედ აქ ჩაისახა პირველად ელექტრონული საშუალებების გამოყენება (მართლია, ცალმხრივად, მხოლოდ მოსმენის დონეზე) ენის სწავლის პროცესში. მოგვიანებით კი, ენის სწავლების

კოგნიტური და სოციოკოგნიტური მეთოდების განვითარებამ და აიტი-ტექნოლოგიების ჩართვამ ენის სწავლების პროცესში შესაძლებელი გახადა, ელექტრონული საშუალებები ორმხრივი და ზოგ შემთხვევაში მრავალმხრივი ინტერაქციის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გამხდარიყო სტუდენტსა და მასწავლებელს, სტუდენტსა და კლასს, სტუდენტსა და სასწავლო მასალებს და ა. შ. შორის.

პირადად ჩვენი მიდგომა ელექტრონული საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით შემდეგია: მათი გამოყენება სასწავლო პროცესში არ არის თვითმიზანი. ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი პირობაა ენის კურსის წარმატებისათვის, თუმცა ის მაინც მედიაა, „დამხმარე საშუალებაა და, პირველ რიგში, კურსის შინაარსსა და მისი მიწოდების მეთოდოლოგიაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება“ (გოჩიტაშვილი; ლომინაძე; მანჯგალაძე, 2010, 127-132). Jeong-Bae Son-ი თავის სტატიაში „Online Tools for Language Teaching“ გვთავაზობს კითხვარს, რომელიც დამყარებულია ცნობილ პრინციპზე 5W1H (who, when, where, what, why and how). ამ კითხვარის გამოყენება, ვფიქრობთ, დიდად დაეხმარება კურსის ავტორებსა და პედაგოგებს, რომლებიც ელექტრონული საშუალებების იმპლიმენტაციას გეგმავენ.

- 1) ვინ იყენებს? - შემსწავლელები? მასწავლებლები? სხვა მომხმარებლები?
- 2) როდის ვიყენებთ? - გაკვეთილების დროს? როდესაც სტუდენტი მარტო მეცადინეობს?

- შეხვედრების დროს? თავისუფალ დროს?
- 3) სად ვიყენებთ? – საკლასო გარემოში? ინდივიდუალურად შემსწავლელებისათვის არსებულ ოთახში? სახლში? გარეთ?
- 4) რას ვაკეთებთ მათი საშუალებით? – ვკითხულობთ? ვწერთ? ვუსმენთ? ვლაპარაკობთ? ვაკეთებთ კურსის მენეჯმენტს? ვამყარებთ კომუნიკაციას? ვიყენებთ კოლაბორაციისათვის? ვიყენებთ სოციალურ ქსელებში? ვქმნით ვებსაიტებს? ვქმნით ვებსავარჯიშოებს? ვაწარმოებთ ვებძიებას? ვერთობით?
- 5) რატომ ვიყენებთ? – კურსის მართვისათვის? სხვებთან საერთოიეროდ? სხვებთან სათანამშრომლოდ? ვირტუალური სამყაროს გასაცნობად? რესურსების გასაზიარებლად? ვებგვერდების შესაქმნელად? ვებსავარჯიშოების შესაქმნელად? ინფორმაციისა და რესურსების შესაგროვებლად? გასართობად? სწავლა-სწავლების პროცესის გასაიოლებლად?
- 6) როგორ ვიყენებთ? როგორ მუშაობს? – კონტექსტუალიზებით? სასწავლო სივრცეების შექმნით? სხვებთან კონტაქტით? სხვებთან მუშაობით? ონლაინსაზოგადოებების გაცნობით? ინფორმაციისა და

რესურსების რესურსების გაცვლით? ვებგვერდებისა და ვებსავარჯიშოების „გამოქვეყნებით“? სწავლებაზე და სწავლაზე ასახვით? ენის სასწავლო აქტივობების შექმნით? ონლაინ-აქტივობების კურიკულუმში ასახვით? (იონგი, 2011)

ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ შეკითხვას, ვფიქრობთ, შესაძლოა ჰქონდეს ერთზე მეტი პასუხი იმ შეთავაზებებისაგან, რომლებიც ავტორს წარმოდგენილი აქვს. გარდა ამისა, ჩვენი აზრით, შესაძლოა ჩამონათვალი კიდევ უფრო განივრცოს. კერძოდ, ჩამონათვალში არ არის ასახული ელექტრონული საშუალებების მნიშვნელოვანი პოტენციალი შეფასების პროცესში (იგულისხმება როგორც განმავითრებელი, ისე საბოლოო შეფასება), მოტივირებისა და ფიდბეკის მიცემის, აგრეთვე კულტურული კომპეტენციის ათვისების თვალსაზრისით.

ვფიქრობთ, გარდა ამისა, ზოგ შემთხვევაში მნიშვნელობას მოკლებული არ იქნებოდა, დაგვევა აგრეთვე შეკითხვა შემდეგი სავარაუდო პასუხებით:

- 7) რატომ არ ვიყენებთ? – ელექტრონულ რესურსებზე წვდომის არარსებობის გამო? ელექტრონული რესურსების შესახებ ინფორმაციის არარსებობის გამო? სამუშაოს მოსალოდნელი გართულების გამო? თქვენს საგანმანათლებლო კულტურასთან შეუთავსებლობის გამო?

რათა გავერკვეთ, თუ რა უმლის ხელს ელექტრონული რესურსების სასწავლო პროცესში დანერგვას და როგორ უნდა გადავლახოთ ეს პრობლემები.

**ტრადიციული კურსებისა და ელექტრონული/აიტი ტექნოლოგიებით გამდიდრებული კურსების ურთიერთმომართება**

კურსები, რომლებშიც ინტეგრირებულია კომუნიკაციურ-ტექნოლოგიური საშუალებები, არ ემიჯნება და უპირისპირდება ტრადიციულ საგანმანათლებლო გარემოს, პროცესს. პირიქით, ის საფუძვლად სწორედ ტრადიციულ საგანმანათლებლო პრაქტიკაში არსებულ პედაგოგიურ-მეთოდოლოგიურ რეპერტუარს, სასწავლო მასალებსა და შეფასების ხერხებს იყენებს და, ამავე დროს, ცდილობს შეავსოს ხარვეზები, რომლებიც ტრადიციულ საგანმანათლებლო პროცესს ახასიათებს. მაგალითად, არსებობს ენის ტექნოლოგიებზე/კომპიუტერზე/მულტიმედიაზე დაფუძნებული სწავლების რამდენიმე თვალსაჩინო „უპირატესობა.“ პირველ ყოვლისა, ეს არის შესაძლებლობა, ერთი კურსის ფარგლებში გაერთიანდეს ტექსტი, აუდიო, ვიზუალური მასალა, გრაფიკა და მოძრავი ელემენტები, როგორებიცაა ანიმაცია და ვიდეო. ანუ, ცოდნის გადაცემა, ტრადიციულ წერილობით ტექსტებსა და ზეპირმეტყველებასთან ერთად, ხდება მრავალფეროვანი საშუალებებით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საგანმანათლებლო პროცესში მნიშვნელოვანია როგორც ადამიანური რესურსები

(კურსის ავტორი, მასწავლებელი, ტუტორი, ინსტრუქტორი, მენეჯერი, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, მოსწავლე/სტუდენტი), ისე სასწავლო მასალები, მეთოდიკები, ტექნოლოგიები. სწორედ ამ კომპონენტების ერთიანობა იძლევა საბოლოოდ ოპტიმალურ შედეგს, რომელიც გულისხმობს სტუდენტის/შემსწავლელის ინტერესების გათვალისწინებით მის მიერვე დასახული მიზნის მიღწევას.

ყოველ სასწავლო კურსს სწავლების თავისი სპეციფიკა აქვს აქვს, რაც, ბუნებრივია, მის ფორმატში უნდა ასახონ კურსის ავტორებმა, ხოლო კურსის მასწავლებელმა – სწავლების მეთოდებსა და ფორმებში. შევეცდებით, ჩამოვყალიბოთ უცხო/მეორე ენის შემსწავლელი კურსის შესაქმნელად (დიზაინისათვის) საჭირო ელექტრონული საშუალებების გამოყენების გზები, ხერხები და მეთოდები, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ეფექტური სასწავლო პროცესის დანერგვასა და წარმართვას. ამ თვალსაზრისით (ისევე, როგორც მთლიანობაში), უცხო ენის შემსწავლელი კურსი უნდა დაეყრდნოს ზოგადად საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და ორგანიზებისას მიღებულ სტანდარტებს და შეივსოს იმ კომპეტენციებით, რომლებიც კონკრეტულად არამშობლიური ენის სწავლებისასაა მნიშვნელოვანი (მაგალითად, სოციოკულტურული კომპეტენცია, მულტიკულტურიზმი...). ელექტრონულ საშუალებებს მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვთ ამ თვალსაზრისით.

ბუნებრივია, ელექტრონული / კომუნიკაციურ-ტექნოლოგიური საშუალებების კურსში ინტეგრირებას სჭირდება ინსტრუქციული დიზაინერისა და კურსის ავტორის მიერ გადაწყვეტილების მიღება, რათა განისაზღვროს, თუ რა ტიპის სასწავლო მასალასთან რომელი საშუალება და როგორი მოცულობით უნდა იყოს გამოყენებული. კონკრეტული ამოცანის და მიხედვით, ენის კურსში ინტეგრირებული უნდა იყოს შემდეგისდაგვარად მრავალგვარი ინტერნეტმედია საშუალება: გრაფიკული დიზაინი და 3D მოდელები; აუდიოპროდუქცია (ტექსტები, ორიგინალური სიმღერების ტექსტები, რომლებიც ენის ათვისება/გამოყენებას უწყობს ხელს), ვიდეოპროდუქცია (ეფექტურია სამიზნე კულტურისა და არავერბალური კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გასავითარებლად) და ა.შ.;

**ელექტრონული საშუალებები, რომლებიც გამოიყენება კურსის შინაარსის მხარდასაჭერად**

**ენობრივი კომპეტენციების მოკლე მიმოხილვა**

**1. კითხვა**

კითხვა ერთ-ერთი სასაფუძვლო ენობრივი უნარია და, ამავე დროს, საფუძვლად ედება სხვა ენობრივი უნარების განვითარებასაც. ელექტრონულ ინსტრუმენტებს შეუძლიათ, დაეხმარონ სტუდენტებს კითხვის უნარის განვითარებაში.

კითხვის უნარის გასავითარებლად ტექსტის შერჩევისას საჭიროა მაქსიმალური მრავალფეროვნების შეთავაზება. ზოგადად, ტექსტი უნდა ფარავდეს ყველა სამეტყველო სტილს. თუ კურსის ავტორი/პედაგოგი თავად ამზადებს ტექსტს რომელიმე სასწავლო პლატფორმაზე (MOODLE, Exelearning და ა.შ.) ან ენის ელექტრონულ კურსს, ამ ტიპის ტექსტების ლოგიკური და ვიზუალური სეგმენტირებაა მათვე უნდა მოახდინონ;

ენის პრაქტიკოსმა მასწავლებლებმა და თეორეტიკოსებმა იციან, თუ რა პრობლემებს ქმნის სასწავლო მასალის ნაკლებობა, ერთი მხრივ, ერთფეროვნება, მეორე მხრივ, და, რაც ყველაზე მთავარია, არაავთენტურობა და ხელოვნური ხასიათი. თანამედროვე ელექტრონული/დისტანციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიები იძლევა საშუალებას, რომ სტუდენტებს შევთავაზოთ საჭირო ინფორმაციის განუსაზღვრელი რაოდენობა (იგულისხმება სხვადასხვა ჟანრისა და სტილის ავთენტური ტექსტები, ლექსიკონები, შესასწავლ მასალასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, ისევე, როგორც საგანგებოდ საგანმანათლებლო საჭიროებებისათვის შექმნილი ტექსტები; მივცეთ შემსწავლელებს რეკომენდაციები მასალასთან დაკავშირებით. ენის სწავლა/სწავლებისას ეფექტურად მიიჩნევა, აგრეთვე, შემსწავლელმა, მრავალი შესაძლებლობიდან, რომლებიც ერთ სასწავლო ამოცანას ემსახურება, თავად გააკეთოს არჩევანი (სამწუხაროდ, ეს შესაძლებლობა თითქმის

არ არსებობს ტრადიციულ სასწავლო გარემოში).

უცხო ენის კურსის შემქმნელები უნდა ეცადონ, რომ თავი აარიდონ ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მეთოდოლოგიური შეცდომას: თუკი სასწავლო კურსის საწყის ეტაპზე საგანგებოდ სასწავლო მიზნებისათვის შექმნილი ტექსტებისა და აუდიო/ვიდეოჩანაწერების გამოყენება სრულიად გამართლებული და აუცილებელია, შემდეგ, სტუდენტის ენობრივ პროგრესთან ერთად, სასურველია გაიზარდოს ბუნებრივი, ავთენტური ტექსტების მიწოდება, რომლებიც ცოცხლად წარმოადგენს შესასწავლი ენის სპეციფიკას და სტუდენტს ამზადებს რეალური საკომუნიკაციო ქმედებებში მონაწილეობისათვის. ჩანაწერები შესაძლებელია მომზადდეს ტელეპროგრამებიდან, ყოფითი ცხოვრებიდან, რადიოპროგრამებიდან, სპექტაკლებიდან, ხოლო ტექსტები შეირჩეს ჟანრული და სტილური სხვაობების გათვალისწინებით).

ტექსტებში ვგულისხმობთ ტექსტს ფართო გაგებით - ინსტრუქციის ენიდან დაწყებული - სასწავლო ტექსტის ჩათვლით. უნდა შეირჩეს მაქსიმალურად მრავალფეროვანი ტექსტები. კურსის ფარგლებში წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც მწიგნობრული სტილის, ისე სასაუბრო სტილით შექმნილი საკითხავი ტექსტები.

ზემოთ ჩამოთვლილი საკმაოდ რთული ამოცანების შესასრულებლად პედაგოგებს ელექტრონული რესურსების მრავალფეროვანი არჩევანი აქვთ. ქვემოთ

წარმოვადგენთ იმ უმთავრეს საშუალებებს, რომელთა კურსებში ინტეგრირება ან გამოყენება ყველასთვის ხელმისაწვდომია. ზოგი მათგანი კონკრეტულად კითხვის უნარის გასავითარებლად არის მოხერხებული, ზოგი კი მრავალფუნქციური შეიძლება იყოს და მათ სტატიის სხვა პარაგრაფებშიც შევხებით.

## 2. წერა:

წერა კომუნიკაციის ვიზუალური ფორმაა. ეს კომპლექსური პროცესი ავტორისაგან მოითხოვს ენის სხვადასხვა კომპონენტების ცოდნასა და გამოყენების უნარს. წერა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და მას განსხვავებული კომუნიკაციური ამოცანების შესასრულებლად ვიყენებთ (საყიდლების სია, ჩანაწერები და მინაწერები; ესეები და რეფერატები; პოეტური ტექსტები; სიმღერების ტექსტები; პროზაული ნაწარმოებები. ელექტრონული წერილი და შეტყობინებები; სოციალურ მედიაში განთავსებული ტექსტები ფა გზავნილები; წერილები და მისალოცი ბარათები, ჟურნალები და ბლოგები). ის ერთ-ერთი ფუნდამენტური ენობრივი უნარია. თანამედროვე სამყაროში წერის დროს სხვადასხვა მედიასაშუალება გამოიყენება: ასოები, კომპიუტერი, მობილური ტელეფონები, რაც წერის განსხვავებული სტილების ცოდნას მოითხოვს. ნაწერის შინაარსი, ანუ იდეა, რომელსაც ავტორი გადასცემს აუდიტორიას, ხშირად განაპირობებს ავტორისავე არჩევანს, თუ რომელი „ჟანრი“, გამოხატვის რომელი

სტილი შეარჩიოს: სალექციო ჩანაწერი, ანგარიში, ლექსი, ნოველა... წერის დროს მნიშვნელოვანია სათანადო ლექსიკური რეპერტუარისა და ენობრივი რეგისტრის შერჩევა, რათა შეტყობინება სწორად იყოს გაგზავნილი და აღქმული ადრესატის მიერ, ენის პრაგმატული ასპექტების ცოდნა და მათი სწორად გამოყენების უნარი (იმპლიციტური გზავნილები, რომლებიც ტექსტმა მკითხველს უნდა გადასცეს; ამა თუ იმ საზოგადოებაში მიღებული კომუნიკაციური წესები (წერილის დასაწყისი; ადრესატისადმი მიმართვის სწორად შერჩევა და ა.შ.). გასათვალისწინებელია ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის როლი წერილობითი ტექსტის შექმნისას. ყველა ამ ამოცანის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ ადამიანი სრულყოფილ წერილობით კომუნიკაციას ამყარებს მეორე/უცხო ენაზე. ელექტრონულ საშუალებებს კი რეალურად აქვთ მნიშვნელოვანი პოტენციალი, რომ შემსწავლელებს ამ ამოცანების გადაჭრაში დაეხმაროს.

### 3. მოსმენა

მიუხედავად იმისა, რომ მოსმენას უმნიშვნელოვანესი (როგორც მნიშვნელობის, ისე დროის) თვალსაზრისით უჭირავს ვერბალურ კომუნიკაციაში, დიდი ხნის განმავლობაში მას არასათანადო ადგილი ეჭირა მეორე/უცხო ენის კურიკულუმებსა და კურსებში. მოსმენა მრავალგვარ სირთულესთან არის დაკავშირებული: გარდა აკადემიური ენისა (რაც ისწავლება,

როგორც წესი სასწავლო გარემოში), მსმენელს უხდება სასაუბრო ენის გაგებაც, რომელიც ხშირად მნიშვნელოვნად განსხვავდება ენის ფორმალური ნაირსახეობისაგან. მოსმენილის გაგებას ხელს უშლის შემოკლებული და „შეცვლილი“ სიტყვები და გამოთქმები და, რაც მთავარია, ინფორმაციის გადაცემის განსხვავებული ტემპი და ხარისხი (ძალიან ჩქარი, ხმაური, რომელიც ისმის მოსმენის პროცესში და ა. შ.)

### 4. ლაპარაკი

პირველ რიგში, უნდა განვასხვავოთ ლაპარაკში ვარჯიში ორალური კომუნიკაციისაგან. პირველი მათგანი, ძირითადად, მიმდინარეობს მასწავლებლის ხელმძღვანელობით და მიმართულია შეცდომების აღმოფხვრაზე, ხოლო კომუნიკაციური აქტივობების მიზანი ენის თავისუფლად გამოყენების დაუფლებაა. ლაპარაკში ვარჯიში პედაგოგიური ამოცანების შესრულებას უწყობს ხელს, ხოლო ვერბალური კომუნიკაცია – რეალური, ცხოვრებისეული ამოცანებისას. პირველ მათგანში ერთ ჯერზე ერთ კითხვას ერთი სწორი პასუხი მიემართება, კომუნიკაციის დროს კი პასუხების არჩევანი მრავალგვარი შეიძლება იყოს. ლაპარაკის უნარის განვითარებას გულისხმობს, რომ სტუდენტს განუვითაროთ კომუნიკაციური კომპეტენცია, რომელიც მას დაეხმარება, გაუმკლავდეს რეალურ საკომუნიკაციო ამოცანებს. ისეთი გავრცელებული პედაგოგიური პრაქტიკა, როგორიცაა დიალოგების ხმამაღალი კითხვა ან ისეთი



სავარჯიშოების ხმამაღლა გამოთქმა, როგორცა, „მე მომწონს ეს ფილმი“, „შენ მოგწონს ეს ფილმი“, „მას მოსწონს ეს ფილმი“, თავის ადგილს იკავებენ ენის სწავლების ადრეულ ეტაპებზე, მაგრამ ვერ ფარავენ რეალურ საკომუნიკაციო ამოცანებს. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ, როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ელექტრონული რესურსები ამ ენობრივი უნარის გასავითარებლად.

### 5. ლექსიკა

ნაშრომში „ლინგვისტიკა და ენის სწავლება“ დევიდ ვიკინსი წერს: „გრამატიკის გარეშე ძალიან ცოტა რამის გადმოცემა (გამოხატვა) შესაძლებელია, მაგრამ ლექსიკის გარეშე არაფრის გადმოცემა (გამოხატვა) არაა შესაძლებელი“ (ვილკინსი, 1972, 28). ენამ რომ თავისი უპირველესი ფუნქცია შეასრულოს, ანუ დამყარდეს კომუნიკაცია, საჭიროა სათანადო ლექსიკური მარაგის ფლობა და მისი სწორი გამოყენების უნარი. თუმცა, რასაკვირველია, ლექსიკური ერთეულის შესწავლა არ გულისხმობს მხოლოდ ერთი ენიდან მეორეზე მექანიკური თარგმანის ცოდნას/უნარს, რადგან ლექსიკა გაცილებით უფრო ღრმა შრეების შემცველია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს.

ლექსიკის სწავლება არ გულისხმობს მხოლოდ მაღალი სიხშირით გამოყენებულ ან ნორმატიული ლექსიკის სწავლებას სასწავლო ტექსტებიდან შეთავაზებული კონტექსტის მიხედვით (სიტყვების

აბსოლუტურ უმრავლესობას ხომ ერთზე მეტი მნიშვნელობა აქვს), არც მათი მხოლოდ მექანიკური დამახსოვრებაა გამოსავალი. ელექტრონული მედიასა-შუალებები ბუნებრივად ქმნის გარემოს, სადაც შემსწავლელს ბუნებრივად ბევრჯერ ხვდება ერთი და იგივე სიტყვა, მისი სინონიმები, ის მანიპულირებს ლექსიკური ერთეულებით როგორც რეცეფციულ, ისე რეპროდუქციულ აქტივობებში, აკეთებს ლაპარაკის, წერის, მოსმენისა და კითხვის კომბინაციას (ბლოგებში, კომენტარებში...). თანაც, ელექტრონული არხებით კომუნიკაციისას ეს ხდება სრულიად ბუნებრივ გარემოში, ძალდაუტანებლად, შემსწავლელის ინტერე-სების გათვალისწინებით, ლექსიკის გასავითარებლად ელექტრონული ინსტრუმენტების გამოყენება შესაძლებელია როგორც სასწავლო კურსის მიმდინარეობისას, ისე თვითშემსწავლელის მხრიდან ინდივიდუალურად.

### 6. გრამატიკა

გრამატიკის სწავლება მეორე/უცხო ენის პროცესში სცდება ტრადიციულ ჩარჩოს, რომელიც გრამატიკას მოიაზრებს, როგორც ტრადიციულად დამკვიდრებულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც ის სწავლობს როგორ უკავშირდებიან სიტყვები და მათი კომპონენტები ერთმანეთს და ქმნიან წინადადებას; წესები, რომელთა მიხედვითაც სიტყვები ერთმანეთს უკავშირდება და წარმოიქმნება ან ლინგვისტიკის ერთ-ერთი დარგი,

რომელიც სწავლობს სინტაქსსა და მორფოლოგიას (სემანტიკასაც). გრამატიკის სწავლება მეორე/უცხო ენის კონტექსტში ნიშნავს, რომ სტუდენტმა უნდა შეძლოს სტუდენტს დაეხმაროს კომუნიკაციური ამოცანების შესრულებაში, ენობრივი რეგისტრის სწორად შერჩევაში, სამეტყველო ამოცანის შესაბამისი სტილის გამოყენებაში, მიზნის შესაბამისი ენობრივი რეპერტუარის სწორად შერჩევა და რეალიზაციაში (დარწმუნება, ხაზგასმა, უარყოფა) და ა. შ.

ბუნებრივია, მხოლოდ კურსის ფარგლებში და სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალებით ამ ამოცანების გადაჭრა თითქმის შეუძლებელია, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ კურსის ან თვითშესწავლის ფარგლებში გამოყენებულ ელექტრონულ კომუნიკაციურ საშუალებებს აქვთ მნიშვნელოვანი პოტენციალი.

## 7. კულტურა

საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ენის სწავლა კულტურის სწავლაა. ამ პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ კულტურულ მემკვიდრეობას, რომლის მფლობელიცაა ენის შემსწავლელი, რადგან მის საკუთარ კულტურულ ნორმებსა და წარმოდგენებს, კლიშეებსა და სტერეოტიპებს შეხვედრა უხდება სრულიად ახალ კულტურულ სივრცესთან, რაც, ზოგ შემთხვევაში, იწვევს ამ რწმენა-წარმოდგენებისა და კულტურული ფასეულობების დამთხვევას, ხოლო, ზოგ შემთხვევაში ეს ფასეულობები სრულიად განსხვავებულია. რადგან

კულტურა არა მხოლოდ კარნახობს ვინ ვის ესაუბრება, რის შესახებ, როგორ უნდა წარიმართოს კომუნიკაცია, ის, აგრეთვე, ეხმარება განისაზღვროს, როგორ უნდა მოხდეს შეტყობინების დეკოდირება, მნიშვნელობის განსაზღვრა, რომელიც ამ შეტყობინებას აქვს და პირობები და გარემოებები, რომლებშიც სხვადასხვა შეტყობინება შეიძლება გაიგზავნოს ან არ შეიძლება, აღინიშნოს, მოხდეს მისი ინტერპრეტირება. კულტურა კომუნიკაციის საფუძველია (სამოვარი; პოტერი; ჯეინი; 1981, 5). სპეციალისტები გამოყოფენ კულტურის 2 ტიპს, რომლებიც ენის სწავლების პროცესშიც განსაკუთრებულად ფასეულია: 1. ეს არის კულტურა, რომელიც მოიაზრებს ყველაფერს, რაც ადამიანის ცხოვრებას უკავშირდება, ეს არის რწმენა-წარმოდგენები, ქცევის ნორმები, ღირებულებები და 2. “დიდი/მაღალი” კულტურა, რომელიც ქვეყნის მუსიკას, ლიტერატურასა და ხელოვნებას მოიაზრებს (აბისარმა) . მეორე/უცხო ენის მასწავლებლებისა და კურიკულუმის ავტორებისათვის მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ენისა და ყოველდღიური ცხოვრების ელემენტების ცოდნა აუცილებელი პირობაა “დიდი/მაღალი” კულტურის გასააზრებლად, რადგან ლიტერატურა და, ზოგადად, ხელოვნება, ემყარება და შეიცავს, ერთი მხრივ, უნივერსალურ, ზოგადსაკაცობრიო ცოდნასა და კულტურულ ფასეულობებს, ხოლო, მეორე მხრივ, ეთნიკურ, ლოკალურ ღირებულებებსა და გამოცდილებას.

ტრადიციულად, მეორე/უცხო ენის კურიკულუმებში ასახულია „დიდი კულტურის“ ელემენტები, ხოლო მეორე მათგანი (განსაკუთრებით, სამწუხაროდ, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში) თითქმის მთლიანად უგულებელყოფილია. ამდენად, მეორე/უცხო ენის კურსისა და კურიკულუმების ავტორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ სტუდენტს ბალანსირებულად მიაწოდონ ინფორმაცია ორივე ტიპის (როგორც მაღალი, ისე ყოველდღიური) კულტურის შესახებ და სწორად შერჩეული სასწავლო აქტივობებისა და მასალის მიწოდებით დაეხმარონ მათ, სწორად გაიაზრონ სამიზნე კულტურის ფასეულობები და გაუჩნდეთ შემწყნარებლობის, დაფასების, აღიარების განცდა მათთვის უცხო კულტურისადმი იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეს უკანასკნელი მისი მშობლიური კულტურისაგან რადიკალურად განსხვავდება.

კულტურული კომპონენტის სწავლების ასახვა კურსში (კულტურა, როგორც ენის „მეხუთე ასპექტი (უნარი)“ სხვა ენობრივი უნარებისაგან განუყოფლად არის მიჩნეული, თუმცა მის განვითარებას განსხვავებული აქტივობები სჭირდება და ელექტრონული და ტექნოლოგიური საშუალებები მათი განვითარების შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც შესასწავლი ენა არ არის ფართოდ გავრცელებულ ენეთა შორის, რომლებზეც საკმარისი რაოდენობის სასწავლო მასალა არსებობს;

## 8. ენის პრაგმატული ასპექტები

მეორე/უცხო ენის პრაგმატული ასპექტების სწავლებას მეორე/უცხო ენის სწავლების პროცესში სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თუმცა ბევრ საგანმანათლებლო გარემოში მისი სწავლება აბსოლუტურად იგნორირებულია. ადვილი შესაძლებელია, რომ ენის შემსწავლელმა კარგად იცოდეს ლექსიკაცა და გრამატიკაც, მაგრამ საუბრის მომენტში დაბრკოლებები ჰქონდეს, ვერ არჩევდეს შესაფერის გამონათქვამს და ა. შ. მაგალითად, ისეთი მარტივი სიტყვა, როგორცაა „ვაი“, სხვადასხვა ინტონაციითა და სხვადასხვა პრაგმატულ გარემოში წარმოთმული შეიძლება ნიშნავდეს შიშს, გაკვირვებას ან სიხარულს. მეორე/უცხო ენის შემთხვევაში გრამატიკულ კომპეტენციის განვითარებას სრულიად განსაკუთრებული როლი აქვს, ფაქტობრივად, ცოდნა, რომელსაც კურსის განმავლობაში იძენს შემსწავლელი, რამდენად წარმატებით რეალიზდება, სწორედ ამ უნარზეა დიდწილად დამოკიდებული. პრაქტიკულად, პრაგმატული კომპეტენცია არის უნარი, გაიაზრო, ჩამოაყალიბო და გადასცე შინაარსი (სათქმელი) იმგვარად, რომ ერთდროულად იყოს ზუსტიც და შესაფერისიც იმ სოციალური და კულტურული გარემოსთვის, რომელშიც კომუნიკაცია მიმდინარეობს. ვინაიდან კომპეტენცია, ზოგადად, ვითრდება და არ ისწავლება, ეს არის პროცესი, რომელიც მოითხოვს მტრავალფეროვან კომუნიკაციას, განსხვავებულ საკომუნიკაციო სიტუაციებში

მონაწილეობას, რაც ტრადიციულ სასწავლო გარემოსა და რესურსების გამოყენებით, რეალურად შეუძლებელია. თუკი უფრო ფართოდ გავრცელებული ენებისა და დონორი კულტურების შემთხვევაში ამ ამოცანის შესრულება შედარებით იოლია, პატარა ენების შემთხვევაში მანსი თითქმის მინიმალურია. სწორედ ასეთ შემთხვევებში შეუცვლელია ელექტრონული და ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომლებიც განსხვავებულ საკომუნიკაციო სიტუაციებსა და ამოცანებში მონაწილეობას სთავაზობს მსურველს.

### სასწავლო პლატფორმები და ელექტრონული რესურსები და მათი ინტეგრირება მეორე/უცხო ენის სასწავლო კურსებში

ჩვენი სტატიის შემდეგ ნაწილში წარმოვადგენთ, თუ რომელი ელექტრონული საინფორმაციო-ტექნოლოგიური საშუალებები რა დანიშნულებით შეიძლება იყოს გამოყენებული მეორე/უცხო ენის შესწავლის პროცესში.

**1. სასწავლო პლატფორმები:** Blackboard (<http://www.blackboard.com/>); Drupal (<http://drupal.org/>); Sakai (<http://sakaiproject.org/>); Joomla (<http://www.joomla.org/>) და Moodle (<http://moodle.org/>) - უფასო ღია რესურსებია, რომელთაგან Moodle განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მოხმარების სიმარტივისა და მოხერხებულობის გამო, რომელზეც შეიძლება, ერთი მხრივ, სასწავლო მასალის განთავსება და, აგრეთვე, ყველა იმ ოპერაციის შესრულება (ვიზუალიზაცია, ტესტირება,

საჭირო ლინკებზე ბმულების გაკეთება, აუდირება, ვიდეოლინკების ან ჩანაწერების ინტეგრირება, რომლებიც მასალის ათვისებას უწყობს ხელს. ეხმარება შემსწავლებლებს განივითარონ ენობრივი უნარები მრავალგვარი სავარჯიშოსა და ტესტირების სისტემების შექმნით. ინტეგრირებულია კურსის მართვისა (მენეჯერული) და პედაგოგიური ამოცანების გადასაჭრელად.

მეორე/უცხო ენის შემსწავლელ კურსებში შესაძლებელია ამ პლატფორმების გამოყენება დავალებების მისაცემად და შესაფასებლად, შეიძლება როგორც მთელი კურსის სრულყოფილად წარმართვა პლატფორმაზე, ისე მხოლოდ მისი გარკვეული კომპონენტების გამოყენება იმ შემთხვევებში, როდესაც არსებული სასწავლო მასალები ვერ ფარავს სასწავლო საჭიროებებს ან არასაკმარისია, ერთფეროვანია და ა. შ.

**2. კომუნიკაციურ არხებს მიეკუთვნება:** Gmail (<http://mail.google.com/>), Skype (<http://www.skype.com>), TokBox (<http://www.tokbox.com/>), Windows Live Messenger (<http://explore.live.com/windows-live-messenger>), Yahoo! Messenger (<http://messenger.yahoo.com/>), Jabberwacky (<http://www.jabberwacky.com/>), Verbot (<http://www.verbots.com/>), MyBB (<http://www.mybboard.net/>), phpBB (<http://www.phpbb.com/>), Tangler (<http://www.tangler.com/>) and Voxopop (<http://voxopop.com/>).

**ელექტრონული წერილი.** როგორც უკვე აღვნიშნეთ, ელექტრონული კომუნიკაცია თანამედროვე კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ელექტრონული წერილი განსაკუთრებით ეფექტურია, როდესაც პერსონალური უკუკავშირის გაგზავნა გვინდა. „ამავე დროს, კურსის მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს შანსი სტუდენტის კითხვისა და ლექსიკის გასაუმჯობესებლად. მასწავლებლის პასუხისმგებლობაა სწორი ენობრივი გზავნილისა და ტექსტის შერჩევა და გაგზავნა თავისი სტუდენტებისათვის. ენის შესწავლის საწყის ეტაპზე ეს შეიძლება მოკლე ინფორმაცია იყოს, თანდათანობით შესაძლებელია შეტყობინების („მესიჯის“) გართულება. ელექტრონული წერილი ასინქრონული ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებაა, რომელსაც „ყველა ინტერნეტაპლიკაციის დედასაც უწოდებენ (ვარშაუერი, 1995, 7-26).

ელექტრონული წერილი, სხვა ციფრული და ინფორმაციული ტექნოლოგიური პროდუქტების მსგავსად, შეიძლება გახდეს მედიუმი სამიზნე ენასთან შეტყობინების შექმნისა და გაგზავნის ჩათვლით თანაჯგუფელებთან ან მთელ მსოფლიოში (ოქსფორდი, 1990, 79)

გრამატიკის, წერის, კითხვის, ლექსიკური ერთეულების სწავლების გარდა, იმეილი შესანიშნავი საშუალებაა, სტუდენტს ასწავლო ენობრივი ეტიკეტი (რეგისტრი): მისალმება, წარდგენა; მიმართა, დამშვიდობება სხვადასხვა ასაკობრივი, სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებთან, კულტურულ ჯგუფებთან, რაც ეფექტური

კომუნიკაციის საფუძელია. ამავე დროს, იმეილის გაზავნა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია და პრაქტიკულადაც გამოადგებათ სტუდენტებს.

მასწავლებელმა სწორად უნდა შეარჩიოს გზავნილი და ტექსტი.

1. ენის შესწავლის დასაწყის ეტაპზე ეს შეიძლება იყოს მოკლე შეტყობინება გაკვეთილების, შეხვედრების, ცხრილის (სიტყვების უმრალესობის გადმოცემა შესაძლებელია ციფრებით, ნაცნობია ან ადვილი მისახვედრია სტუდენტისათვის), საერთაშორისო სიტყვები (პრეზენტაცია, ტრენინგი) ნაბიჯ-ნაბიჯ შესაძლებელია შეტყობინების ენის გართულება.
2. ფიბდეკი აუცილებელია. ნებისმიერი შეკითხვა, რეაქცია მოითხოვს ადეკვატურ ფიდბეკს. (ზოგჯერ შემსწავლელის ენის ან თქვენი და სტუდენტის საერთო ენის გამოყენება (შერეული შესასწავლ ენასთან) შეიძლება სასურველი იყოს.
3. იფიქრეთ, რას შეუსწორებთ სტუდენტებს. არ არის გამოცხადებული, რომ ყოველწუთიერმა შესწორებებმა სტუდენტის მოტივაცია დაადაბლოს, თუმცა მათი იგნორირებაც არ შეიძლება. ნებისმიერ შემთხვევაში შესწორებები გაუკეთეთ პერსონალურად. საჯაროდ მხოლოდ მათი შექება შეიძლება.
4. გამოიყენეთ (მაგრამ არ გადააჭარბოთ) სიმბოლოები. ჩართეთ

ისინი ტექსტში. ისინი საერთაშორისოა და გარკვეული „მოკარნახის“ ფუნქცია შეიძლება შეასრულონ სტუდენტებისათვის. ეს კი ნამდვილად მამოტივირებელია (გოჩიტაშვილი, 2012,365)

სასწავლო მიზნების შესასრულებლად ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ინსტრუმენტის გამოყენება შესაძლებელია, თუმცა Skype, რომელიც ყველასათვის ნაცნობი და ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო არხია, მთლიანად ფარავს ყველა იმ საჭიროებას, რომელიც ამ ტიპის ინსტრუმენტებს შეუძლიათ. მასწავლებლის ფუნქციაა, „ჩათის სესიები“, რომლებიც კურსის ფარგლებში მიმდინარეობს, რამდენადაც შესაძლებელია, დეტალურად დაგეგმოს და შეეცადოს, პროცესი მართოს ისე, რომ სასწავლო საჭიროებებს არ ასცდეს. აქ იგულისხმება: წინასწარ განსაზღვროს, რა ხერხით შეცვლის არასასურველ კომუნიკაციას; სად არის მისი ჩარევა მიზანშეწონილი; როგორ წახალისებს სტუდენტთა საუბრებს; ჩათის სესია იქნება ინდივიდუალური თუ ჯგუფური, აუდიო გამოსახულების თანხლებით (ჟესტებისა და მიმიკის, ინტონაციის სწავლების მიზნით) და ა.შ.

მასწავლებლის მუშაობა გაცილებით ეფექტურია, როდესაც ის:

- მოსწავლეებს განუმარტავს თავის როლს; ნიშნავს დროს (შესაძლებელია, სტუდენტებთან შეთანხმებით); განსაზღვრავს საუბრების თემებს.

- განსაზღვრავს სტუდენტების როლსა და მოვალეობებს ჩათის პროცესში;
- ვინაიდან ჩათი სასწავლო პროცესის ნაწილია, ისიც, როგორც ნებისმიერი სასწავლო აქტივობა, უნდა შეფასდეს მასწავლებლის მიერ (მასწავლებელი სთხოვს სტუდენტებს ჩათის შეჯამება-რეზიუმირებას; ითვლის გამოყენებული სიტყვების რაოდენობას (წერილობითი შეტყობინების შემთხვევაში); აანალიზებს შეცდომებს;
- კომუნიკაციის გარდა, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წერილობითი ფორმით წარმოადგინონ ანგარიში (სად წარიმართა კომუნიკაცია; ვისთან; რამდენი ადამიანი მონაწილეობდა; რა იყო განხილვის საგანი; რა დასკვნა გამოიტანა; როგორია მონაწილის დამოკიდებულება და ა. შ. (გოჩიტაშვილი, 2012, 366)

კომუნიკაციური არხები შეიძლება გამოვიყენოთ შესასწავლი ენის მატარებელთან ურთიერთობის, ინდივიდუალურ და ჯგუფურ მეცადინეობაში მონაწილეობის მისაღებად. მასწავლებლის მიერ მართული ჩათის სესიების გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ბუნებრივი, დაუგეგმავი ჩათის პროცესი, რომელსაც ენის სწავლებლის პროცესში არანაკლები საგანმანათლებლო ფუნქცია აქვს, ვიდრე დაგეგმილს.

ვფიქრობთ, სტუდენტებისათვის სწავლის პროცესში არამშობლიურ ენაზე საუბრის ამგვარი ფორმები (წერილი, ჩათი, კომენტარები და პოსტები, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ) შეიძლება უფრო კომფორტული იყოს, ვიდრე პირისპირ საუბარი, რადგან კომპიუტერულ კომუნიკაციაში გამოყენებული ენა ლექსიკურად უფრო მდიდარი, გრამატიკულად უფრო სრულყოფილია, ვიდრე ეს პირისპირ საუბრისას ხდება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ სტუდენტს აქვს ტექსტის აკრეფისა და ორგანიზების დრო, შეცდომების გასწორების შესაძლებლობა, ლექსიკონების გამოყენების საშუალება, რაც ზეპირ-მეტყველებაში შეუძლებელია და ენის შემსწავლელი ზოგჯერ საერთოდ პარალიზებული რჩება იმის გამო, რომ ერიდება მოსალოდნელი შეცდომებისა და უზუსტობების.

### 3. სოციალური ქსელები

ზოგადად, განათლებაში და, მათ შორის, მეორე/უცხო ენის სწავლებაში სოციალური ქსელების, როგორებიც არის, მაგალითად, Facebook და Twitter, ბოლო წლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინოვაციაა. მიუხედავად იმისა, რომ მათი პირდაპირი მიზანი უცხო ენის სწავლება არ არის, მნიშვნელოვანი მხარდაჭერა შეუძლიათ ენის შემსწავლელთათვის. ქსელების სწავლების პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით პრაქტიკოს მასწავლებელთა არსებობს აზრთა სხვადასხვაობა - რამდენად სასარგებლო შეიძლება იყოს უცხო ენის სწავლება/შესწავლა, ან პირიქით, რა არის ამ ქსელების ენის

შესწავლის პროცესში ინტეგრირების უარყოფითი მხარეები. ამ ტიპის საიტების პირველადი ფუნქცია სოციალურია: საზოგადოება იყენებს ამ საიტებს მეგობრებსა და ნაცნობებთან ურთიერთკავშირის გასაფართოებლად. ასეთ ვითარებაში კი ბუნებრივად და ერთდროულად ხდება ენის შესწავლაც და ურთიერთობაც. უკვე ცნობილია რომ, უცხო ენის შესწავლის საუკეთესო ხერხი ენის მატარებელ ადამიანებსა და ბუნებრივ ტექსტებთან ურთიერთობა. ეს საიტები კი ენის შემსწავლელს ერთ საერთო ენაზე ურთიერთობის, მისთვის საინტერესო თემებისა და ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას სთავაზობენ.

სოციალური ქსელები არანაკლებ როლს თამაშობენ თვითშესწავლაში. Facebook და Twitter ხელს უწყობს მომხმარებელს ყოველდღიურ სოციალურ ყოფაში მოახდინოს ენაზე მუშაობის ინტეგრირება ისე რომ, ეს პროცესი არ იყოს ენის სწავლებაზე პირდაპირ მიმართული, არამედ ენის შესწავლა მოხდეს ამა თუ იმ ენის მატარებელთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის გზით. სოციალური ქსელები მომხმარებელს სთავაზობენ ენის შესწავლის უნიკალურ შესაძლებლობას ბუნებრივი ურთიერთობების ფონზე და არა ხელოვნურად შექმნილ ენობრივ გარემოში, აუდიტორიაში ყოფნისა და სახელმძღვანელოების კითხვის ნაცვლად იმ ბუნებრივ ვირტუალურ ენობრივ გარემოში, რომელსაც თვითონ ქსელის მომხმარებელი ქმნის.

სოციალური ქსელების ვირტუალური ენობრივი გარემოს უპირატესობის მოქნილობაშია. ენის შემსწავლელს შეუძლია შესასწავლი ენის მისთვის საინტერესო და კომფორტული გარემოს შექმნას. იგი თვითონ ირჩევს „სწავლების“ მასალასა და პარტნიორებს ურთიერთობისათვის თავისი ინტერესებისა და ენობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. რამდენადაც, ზოგადად, ინტერნეტურთიერთობებისათვის დამახასიათებელია მომხმარებლის თავისუფალი არჩევანი: ის თვითონ აკეთებს არჩევანს, თუ ვისთან იურთიერთოს, რომელ ჯგუფში გაერთიანდეს; რა კითხვები დასვას და რა ენობრივი საშუალებები შეარჩიოს; რა წაიკითხოს, რა ბლოგი დაიმატოს. იგი ასევე თვითონ ირჩევს მისთვის სასურველი ინფორმაციის საჭირო მოცულობას უცხო ენაზე; ვერბალური შეტყობინებების ავტორი მრავალი ადამიანია განსხვავებული ენობრივი რეპერტუარითა და კომპეტენციით. ბუნებრივია, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობა ენის დაუფლების რეალურ გარემოს ქმნის და უზრუნველყოფს მასალის ათვისების კომფორტულ, მოსახერხებელ პირობებს.

მასწავლებელმა სოციალური ქსელები კარგად შეიძლება გამოიყენოს საკუთარი პედაგოგიური ამოცანების შესასრულებლად. პირველ რიგში, ამისთვის საჭიროა გონივრულად „მართოს“ სოციალურ ქსელებში ურთიერთობის პროცესი: ერთი მხრივ, გადასცეს ცოდნა, რომელიც არ ხერხდება საკლასო გარემოში (მიზეზი შეიძლება იყოს დროის სიმცირე; არ

იყოს ასახული სასწავლო პროგრამაში; მასალის სპეციფიკიდან გამომდინარე, მასალის აკადემიურ გარემოში შეთავაზება არ იყოს ბოლომდე გამართლებული) და ა. შ. პედაგოგს შეუძლია, შექმნას შესასწავლი ენის „ბუნებრივი“ გარემო თავისი სტუდენტებისათვის - თავის კედელზე განათავსოს სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია და აქტივობები. ენის შემსწავლელს კინებისმიერ დროს შეუძლია დაუსვას შეკითხვა მასწავლებელს (ისევე, როგორც სხვა ნებისმიერ პირს, რომლისგანაც პასუხს მოელის), ამ უკანასკნელს კი პასუხის გაცემა თავისთვის მოსახერხებელ დროს შეუძლია. ონლაინურთიერთობა არ არის მოქცეული დროისა და გეოგრაფიულ ჩარჩოებში. სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა, ჩამოაყალიბოს პასუხი, გაანალიზოს, კორექტირება გაუკეთოს საკუთარი აზრს, ისარგებლოს ლექსიკონით, რათა თავიდან აიცილოს გრამატიკული შეცდომები; დააკვირდეს სხვების ენას და ა. შ.

სოციალური ქსელები, ბლოგებთან და ვიკისთან ერთად, მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს მეორე/უცხო ენის თვითშესწავლის პროცესშიც. ხელმისაწვდომი და ფართოდ გავრცელებული სოციალური ქსელებია: Facebook <http://www.facebook.com/>; MySpace <http://www.myspace.com/>, LinkedIn <http://www.linkedin.com/>, Twitter <http://twitter.com/>, and Livemocha

#### 4. ბლოგები და ვიკი

ბლოგი წარმოადგენს ვებსაიტს, რომელშიც ინფორმაცია წარმოდგენილია



ქრონოლოგიური მიმდევრობით. როგორც წესი, ახლავს კომენტარები. ფაქტობრივად, ეს „ფართო მოხმარების პირადი ჩანაწერებია“, რომელშიც ბლოგერი ამა თუ იმ საკითხის შესახებ საკუთარ მოსაზრებებს, წარმოდგენილია კომენტარებსა და ახალ ამბებს გვთავაზობს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. ხშირად ტექსტს ახლავს ფოტოები და გრაფიკა (რაც, როგორც კარგადაა ცნობილი, მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა სწავლის პროცესში). ბევრი ბლოგი თემატურია და ეძღვნება კონკრეტულ საკითხებს: გვხვდება როგორც ფაქტობრივი მასალა, ინფორმაციები, ასევე ავტორის პირადი შეხედულება, რაც ბუნებრივად მოითხოვს სტილურად, ლექსიკურად განსხვავებულ ენობრივ არჩევანს, რაც ენის სწავლის პროცესში მნიშვნელოვან პლუსად უნდა მივიჩნიოთ.

თანამშრომლობითი სასწავლო პროცესის განსახორციელებლად სულ უფრო ხშირად იყენებენ ბლოგებს, ანუ ინტერნეტ ელექტრონულ ჟურნალებს. ზოგიერთი ასეთი საიტი ყველასთვის ხელმისაწვდომია, მაგალითად, ვებ-ტექნოლოგიების გლობალური ლიდერის, კომპანია Google-ის ბლოგების გენერატორი Blogger.com. აქ ბლოგის შესაქმნელად საკმარისია გქონდეთ ან შექმნათ Gmail ელექტრონული ფოსტის მისამართი და გაიაროთ ბლოგის შექმნის პროცედურა.

სასწავლო პროცესში ბლოგები გამოიყენება მოსწავლეების მოსაზრებების შესაგროვებლად, ნასწავლის გასააზრებლად ან სასწავლო თემის ირგვლივ დებატების

ჩასატარებლად. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობა მნიშვნელოვანი აქტივობაა მეორე/უცხო ენის დასაუფლებლად.

ბლოგების საინტერესო გამოყენების მაგალითი სწავლებაში არის ე.წ. პერსონაჟთა ჟურნალები. სასწავლო პროექტში მოსწავლეებს უნაწილდებათ რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟების როლები და შემდეგ ევალუაბათ ბლოგის წარმოება ამ პერსონაჟების თვალთახედვიდან. ასეთი ბლოგების წარმოება ხელს უწყობს როგორც ნაწარმოების სიღმისეულად შესწავლას, მნიშვნელოვანი თემების გათავისებებას, ასევე სხვა უნარების განვითარებას და შეფასებას (<http://jullietta-blog.blogspot.com>). თუ გავითვალისწინებთ, რომ ლიტერატურის როლი ენის შესწავლის პროცესში უმნიშვნელოვანესია, ამ ტიპის აქტივობების პოტენციალიც გასაგები გახდება. იგივე ბლოგი შეიძლება განსხვავებული ფუნქციებითაც გამოვიყენოთ (მაგალითად, ბლოგის წარმოება მასწავლებლის მიერ შერჩეულ საკითხზე შესასწავლი კულტურიდან (ისტორიული, გეოგრაფიული სხვაობების გათვალისწინებით); თხრობა პირველ პირში და სხვათა მონათხრობის გადმოცემა მესამე პირში; ინფორმაციის მწიგნობრული სტილით და სამეტყველო სტილით გადმოცემა და ა.შ. ბლოგების შექმნის პროცესში, გარდა იმის, რომ ზოგადად ფართოვდება შემსწავლელის თვალსაწიერი, მისი ენობრივი კომპეტენციაც იზრდება.

სასწავლო პრაქტიკაში კიდევ ერთი გავრცელებული ინსტრუმენტია სასწავლო ვიკი, ანუ ვიკიპედიის სტრუქტურის მქონე თანამშრომლობითი ვებგვერდი. ვიკის რედაქტირება შეუძლია კლასის ან ჯგუფის ყველა მოსწავლეს. ვიკის გამოყენების მაგალითებია: ჯგუფური წერა, ვებგვერდის ერთობლივი განვითარება, ინფორმაციის მოგროვება რომელიმე სასწავლო საკითხზე, ელექტრონული ცნობარის შექმნა, მოსწავლის პორტფოლიოს განთავსება, გაკვეთილების გეგმების ატვირთვა, სასწავლო პროექტის დაგეგმვა და მიმდინარეობის მართვა. ვიკიზე შესაძლებელია მულტიმედია ფაილების განთავსება და გაზიარებაც. ვიკის შესაქმნელად შესაძლებელია სპეციალური პროგრამის გადმოწერა, მაგრამ უფრო მოსახერხებელია ვიკი მომსახურების ვებგვერდების გამოყენება. ყველაზე პოპულარულია wikispaces.com, რომელსაც საგანმანათლებლო საჭიროებებისთვის განკუთვნილი დიზაინიც აქვს. არსებობს, ასევე, სპეციალურად საგანმანათლებლო მიზნებით შექმნილი ბლოგების პლატფორმები, როგორცაა edublog.org, სადაც ინტეგრირებულია ბლოგები და კლასის მართვის სისტემები.

<http://greetingsfromtheworld.wikispaces.com> (საუკეთესო საგანმანათლებლო ვიკი საიტად რამდენჯერმე აღიარეს "მისაღმებები მსოფლიოდან", რომელიც აერთიანებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლების მიერ შექმნილ ელექტრონულ პოსტერებს საკუთარი გარემოს, კულტურისა თუ ქვეყნის შესახებ.

ამჟამად ვიკი საიტზე თავმოყრილია 300-მდე ინტერაქტიული პოსტერი მსოფლიოს ყველა კონტინენტის სკოლებიდან).

წარმოგიდგენთ ყველაზე გავრცელებული ბლოგებისა და ვიკის მისამართებს, რომელთა ინტეგრირებაც შეგიძლიათ თქვენს საგანმანათლებლო პრაქტიკაში:

Blogger <http://www.blogger.com/>; Edmodo <http://www.edmodo.com/>; Edublogs <http://edublogs.org/>; LiveJournal <http://www.livejournal.com/>; WordPress.com <http://wordpress.com/>; PBworks <http://pbworks.com/>; Wikispaces <http://www.wikispaces.com/>;

## 5. პრეზენტაცია

პრეზენტაცია მნიშვნელოვანი სასწავლო აქტივობაა, რომელიც უცხო ენის შესწავლის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ის თავისი ბუნებით კომპლექსურია, ინტერაქტიული და მისი ავტორისაგან მოითხოვს წერიითი და ვერბალური უნარების აქტუალიზაცია-დემონსტრირების უნარს, ხოლო მსმენელისაგან - აუდიალური და კითხვის (როდესაც პრეზენტაცია ვიზუალიზებულია, წარმოდგენილია, მაგალითად, პაუერპოინტის სახით) უნარების მობილიზებას. გარდა ამისა, კითხვა-პასუხის სესია, რომელიც პრეზენტაციას ახლავს, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ლაპარაკისა და მოსმენის უნარებს და მონაწილეს ბუნებრივ საკომუნიკაციო გარემოს სთავაზობს. მეორე/უცხო ენის შესწავლის პროცესში უმთავრესი ენობრივი უნარების

განვითარებაა, თუმცა, რასაკვირველია, შემსწავლელის თვალსაწიერის განვითარებაც არამეორეხარისხოვან როლს თამაშობს. მასწავლებლის ფუნქციაა, დაეხმაროს მოსწავლეებს პრეზენტაციის საკითხის შერჩევაში (რელევანტურობა შესასწავლ საკითხებთან, მისი ენობრივი კომპეტენციის გათვალისწინებით დაძლევადი ამოცანა და ა.შ.) და შემდეგ შეაფასოს ის. ელექტრონული საშუალებებიდან ყველაზე გავრცელებული საშუალებაა Powerpoint-ის გამოყენება, თუმცა სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენის შემსწავლელისათვის ონლაინპრეზენტაციის ინსტრუმენტები, რადგან ის საშუალებას იძლევა, მოუსმინო პრეზენტაციებს (მათ შორის ასინქრონიულად), რომლებიც სამიზნე ენის წარმომადგენლის მიერ არის მომზადებული. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ენის ყველა შემსწავლელს არ აქვს შესაძლებლობა, რომ უშუალოდ მოუსმინოს სამიზნე ენის წარმომადგენლის პრეზენტაციას (პირისპირ ფორმტში), ონლაინპრეზენტაციას შეუძლია, მნიშვნელოვნად შეავსოს ეს ნაკლი. გარდა ამისა, პედაგოგი უნდა ეცადოს, რომ კლასი აქტიურად ჩართოს პრეზენტაციის პროცესში. მისცეს შემდეგი ტიპის დავალება: შეაფასეთ და დაწერეთ, პრეზენტაციის რომელი ნაწილი იყო ყველაზე საინტერესო, იმსჯელეთ, რაში ეთანხმებით ან არ ეთანხმებით და ა.შ. მულტიმედით გამდიდრებული 280 Slides <http://280slides.com/> და Animoto <http://animoto.com/>, რომელიც ვიდეო

სლაიდმოუებს გვთავაზობს, Empresser, <http://www.empressr.com/>, SlideRocket <http://www.sliderocket.com/> and Zoho Show <http://show.zoho.com/> გვთავაზობს ძალიან ეკონომიურ, ინოვაციურ და იოლ გზებს მეორე/უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებული საკითხების პრეზენტაციების მოსამზადებლად.

## 7. რესურსების გაზიარება

ნებისმიერ სასწავლო პროცესში სასწავლო რესურსები პირველხარისხოვან როლს თამაშობს. სასწავლო მასალების შექმნა და, აგრეთვე, გავრცელება, ტრადიციულად, ერთ-ერთ ყველაზე დიდი გამოწვევაა, რომელიც, ინტელექტუალურ-თან ერთად, ფინანსურ მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებსაც მოითხოვს. ელექტრონული/ონლაინ წყაროები რესურსების გასაზიარებლად მნიშვნელოვანი რესურსია, რომელთა გამოყენებაც მასწავლებლებს მრავალგვარ შესაძლებლობას სთავაზობს. ყველა მათგანი არაჩვეულებრივი საშუალებაა უცხო/მეორე ენის თვითშემსწავლელთათვისაც.

რესურსების გაზიარება შესაძლებელია შემდეგი ტულზების გამოყენებით:

დოკუმენტების გასაზიარებლად შექმნილია შემდეგი ვებრესურსები: Google Docs <http://docs.google.com/>, TitanPad <http://titanpad.com/>, რაც შეეხება Zoho Writer-სა <http://writer.zoho.com/> VoiceThread-ს, ჯგუფური კომუნიკაციისათვისა გამოიყენება, <http://voicethread.com/>; ფოტოების გასაზიარებელი ვებრესურსებია: Flickr <http://www.flickr.com/> და Picasa <http://www.picasa.com/>

picasa.google.com/; ვიდეოსათვის – Xtranormal <http://www.xtranormal.com/>, პოდკასტების შექმნა და გაზიარება შეიძლება PodOmatic-ზე (<http://www.podomatic.com/>), სადაც თავმოყრილია მილიონობით პოდკასტერის მიერ შექმნილი პოდკასტი მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. Glogster -ი (<http://www.glogster.com/>) მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე ელექტრონულ სასწავლო რესურსად აშშ-სა და სხვა წამყვან ქვეყნებში და იძლევა ინტერაქტიული პოსტერების, ე. წ. გლოგის (გრაფიკული ბლოგის) შექმნის შესაძლებლობას.

Slideshare (<http://www.slideshare.net/>), რომელიც 2010 წელს დასახელებული იყო 10 ტოპ საგანმანათლებლო ინსტრუმენტს (tools) შორის, შესაძლებლობას იძლევა, პრეზენტაციები განვათავსოთ PowerPoint, PDF, Keynote or OpenDocument ფორმატებში. გარდა ამისა, აქ შესაძლებელია ვიდეოების განთავსება და ვებინარების ორგანიზება.

Jing <http://www.techsmith.com/jing/> ვიზუალური მასალის (გამოსახულების) შესაქმნელად და გასაზიარებლად გამოიყენება. ვიდეოჩანაწერების ასატვირთი და გასაზიარებელი ყველაზე ცნობილი ვებსაიტი YouTube -ია, (<http://www.youtube.com/>), თუმცა, ამავე ფუნქციით შეიძლება SchoolTube <http://www.schooltube.com/> (მოწონებულია მსოფლიოს წამყვანი საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ) და YouTube-ზე ბაზირებული TeacherTube (<http://www.teachertube.com/>), რომელიც სპეციალურად საგანმანათლებლო მიზნებითაა შექმნილი და აერთიანებს

ვიდეო, აუდიო რესურსებს, დოკუმენტებს, ფოტოებს, ჯგუფებსა და ბლოგებს. საინტერესო საგანმანათლებლო რესურსს წარმოადგენს WatchKnow (<http://www.watchknow.org/>).

## 8. სავარჯიშოების შექმნა

მრავალფეროვანი სავარჯიშოები, რომელთა გამოყენება ენის სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია ოთხივე ძირითადი ენობრივი უნარის, ლესიკურ-გრამატიკული ამოცანების გადაწყვეტის და, აგრეთვე, სოციო-კულტურული და ენის პრაგმატული გამოყენების სწავლა-სწავლების პროცესში. ენობრივი უნარებს გასავითარებლად უმნიშვნელოვანესია მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი სავარჯიშოების შეთავაზება. ცნობილ საგანმანათლებლო პრინციპზე – მარტივიდან რთულისაკენ – დაყრდნობით სტუდენტს უნდა ჰქონდეს სავარჯიშოების გავლის შესაძლებლობა. სავარჯიშოებს უნდა ახლდეს პასუხების ფურცელი (key) და/ან შეფასების სისტემა/სქემა.

შეიძლება მომზადდეს შემდეგი ონლაინრესურსების გამოყენების საშუალებით: ContentGenerator (<http://www.contentgenerator.net/>); SMILE <http://clear.msu.edu/teaching/online/mimea/smile/>; ვიდეოქვიზების მომზადება შესაძლებელია ვებგვერდზე ESL Video, რომელიც განთავსებულია მისამართზე <http://eslvideo.com/>; JClc <http://clc.xtec.cat/en/jclc/>; Hot Potatoes <http://hotpot.uvic.ca/>

Quia <http://www.quia.com/>; Lingt-ი (<http://lingtlanguage.com/>) განკუთვნილია იმ სავარჯიშოების შესაქმნელად, რომელიც ლაპარაკის უნარს ვითარებს, ზეპირი სავარჯიშოებისათვის (Spoken exercises), ხოლო Listen and Write <http://www.listen-and-write.com/> გვთავაზობს სავარჯიშოებს, რომლებიც მოსმენილის გაგებაზე ორიენტირებული.

ენის სწავლების პროცესში, ბუნებრივია, უშუალოდ კურსის შინაარსის გვერდით, მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ისეთი ორგანული პროცესების დაგეგმვა და სწორად წარმართვა, როგორებიცაა: სტუდენტების მოტივირება, წახალისება და მხარდაჭერა, შესაბამისი ფიდეკის მიცემა, შეფასება. ყველა ეს აქტივობა შესაძლებელია ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით, ოღონდ მასწავლებლის მხრიდან მოითხოვს სწორი კომუნიკაციური ხერხების ფლობას და მრავალგვარი ტექნიკის გამოყენების უნარს. ელექტრონული საკომუნიკაციო არხების გამოყენება ამ პროცესს ამრავალფეროვნებს და ძალიან აახლოებს იმ ბუნებრივ გარემოსთან, რომელშიც თანამედროვე შემსწავლელებს უწევთ არსებობა და თავისი ყოველდღიური საქმიანობების შესრულება.

### 9. ლექსიკონები და კონკორდანსები

ენის სწავლების პროცესში ლექსიკონების გამოყენების ყველაზე მოსახერხებელი სექტორები:

- უცხოური სიტყვის მნიშვნელობის მოძებნა;

- მშობლიური ენიდან სიტყვის თარგმნა სამიზნე ენაზე
- სიტყვის დაწერილობის შემოწმება;
- შეამოწმო, როგორ გამოიყენება სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმა და ზმნის წარსული დროის ფორმა;
- გრამატიკული ინფორმაციის მოძიება სიტყვის შესახებ;
- სიტყვის სინონიმისა და ანტონიმის მოძებნა;
- სიტყვათშეთანხმებებში სიტყვები ადგილის სანახავად;
- სიტყვის გამოთქმის გასაგებად;
- სიტყვის რეგისტრის დასადგენად;
- ბუნებრივ ენაში სიტყვის გამოყენების მაგალითის მოსაძებნად.

არანაკლები როლი აქვთ ენის სწავლებაში კონკონდანსერებს. <https://www.teachingenglish.org.uk/article/concordancers-elt>-ის მიხედვით, მისი საშუალებით შესაძლებელია:

- ავთენტურ ენის კორპუსებთან წვდომა გვეხმარება შევამოწმოთ და დავრწმუნდეთ, რომ ჩვენი ვარაუდი ენის გამოყენათან დაკავშირებით სწორია.
- შევამოწმოთ, რომ სიტყვები და ფრაზები, რომლებსაც ვასწავლით, ყველაზე ხშირად გამოიყენებადი, თანამედროვე და სწორი.
- შეგვიძლია ვიპოვოთ ავთენტური მაგალითები სადემონსტრაციოდ.

- შეგვიძლია თავად შევქმნათ რესურსები ავთენტურ მასალებზე დაყრდნობით.

სტუდენტებს შეუძლიათ:

- სიტყვათა დაკავშირება. ახალი სიტყვების შესწავლისას კონკონდანსერები სტუდენტებს დაეხმარება, აღმოაჩინონ რომელ სიტყვებთან კომბინაციაში იხმარება სიტყვა ყველაზე ხშირად.
- თვალი მიადევნონ საკუთარ შეცდომებს მასწავლებლის შესწორების მაგიერ.
- განსხვავებული მნიშვნელობების დადგენა. იმ სიტყვების სწავლებისას, რომლებსაც ერთზე მეტი მნიშვნელობა აქვთ, მასწავლებელი წინადადებებს იღებს კორპუსიდან, აჯგუფებს მნიშვნელობების მიხედვით და აძლევს სტუდენტებს გასაცნობად.
- რეალური მაგალითები. როდესაც ასწავლით სტუდენტებს ახალ სიტყვებს ან ფრაზებს, შეგიძლიათ დაავალოთ მათ, გამოიყენონ კონკონდანსერები, რათა მოძებნონ და ჩაწერონ სიტყვის გამოყენების საკუთარი მაგალითები.
- მასალების შექმნა. მასწავლებლები ხშირად ქმნიან საკუთარ აქტივობებს, როდესაც ასწავლიან ან ამოწმებენ სიტყვებს, რომელთათვისაც არასაკმარისი მასალები არსებობს. ასევე, ისინი ქმნიან წინადადებებს, რომლებშიც სტუდენტებმა უნდა ჩაწერონ სწორი სიტყვები.

კონკონდანსერის გამოყენებით შეგიძლია მივიღოთ ავთენტური ტექსტი, რომლის მიხედვითაც შექმნით საჭირო აქტივობებს. უფრო მეტიც, ასეთი აქტივობების შექმნა შეიძლება სტუდენტებს დაავალოთ.

ელექტრონული რესურსებია:

უფასო რესურსები: Dictionary.com (<http://www.dictionary.com/>), Merriam-Webster Online <http://www.merriam-webster.com/> და YourDictionary.com (<http://www.yourdictionary.com/>), ინგლისური და ფრანგული Compleat Lexical Tutor <http://www.lex Tutor.ca/concordancers/>, საწარმოთქმო ლექსიკონი Forvo <http://www.forvo.com/>, ინგლისური წარმოთქმისათვის How I say <http://www.howjsay.com/>, გრაფიკული ლექსიკონი Visuwords <http://www.visuwords.com/>, ლექსიკონების საძიებო სისტემა OneLook Dictionary Search <http://www.onelook.com/> და სერვერზე დაფუძნებული VLC Web Concordancer <http://vlc.polyu.edu.hk/concordance/>.

ქართული ენის შემსწავლელთათვის: ინგლისურ-ქართული ლექსიკონი: <http://margaliti.ge/>; ონლაინლექსიკონი voov <http://translate.voov.me/>; ქართულ-ინგლისური და ინგლისურ-ქართული ლექსიკონი <http://translate.ge/>. მნიშვნელოვანი რესურსია ena.ge, სადაც განთავსებულია ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, განმარტებითი ლექსიკონი და სხვა.

### ინსტრუქციებისა და კომუნიკაციის ენა

ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გზავნილთა დიდი უმრავლესობა

ვერბალურია (თუმცა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ვიზუალური გზავნილებიც, მაგრამ მათი გათანაბრება ენობრივ შეტყობინებებთან არც რაოდენობრივი და არც მნიშვნელობის თვალსაზრისით, ბუნებრივია, არ შეიძლება). მეორე, უცხო ენის შექმნისა და სწავლებისას, ზოგადად, და ელექტრონული საშუალებების გამოყენების დროს, კონკრეტულად, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ამ კურსის ერთ-ერთი უმთავრესი თავისებურება - ის რადიკალურად განსხვავდება ყველა სხვა საგნისაგან, რომლებსაც სტუდენტები სწავლობენ თავიანთ მშობლიურ ენაზე ან იმ ენაზე, რომლის ცოდნის დონეც შეესაბამება კურსის სირთულეს. ამდენად, ინსტრუქციის ენის სორად შერჩევა, სათანადო ბალანსის დაცვა (შუამავალი, ინსტრუქციის ენის შემცირება ეტაპობრივად, ინსტრუქციების ორივე ენაზე შეთავაზება სწავლების გარკვეულ ეტაპზე) კურსის შემქმნელთა წინაშე არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკიდან გამომდინარე, მეტად ეფექტურია ე.წ. შუამავალი ენის ორმაგი პედაგოგიური მიზნით გამოყენება, ანუ, გარდა უთავრესი გზავნილისა, რომელსაც ატარებს ესა თუ ის შეტყობინება, იგი შეიძლება გამოვიყენოთ შემსწავლელის ენობრივი კომპეტენციის ასამაღლებლად. კერძოდ, ვასწავლოთ ენობრივი სტილის, რეგისტრის შერჩევა იმის მიხედვით, თუ რომელი საკომუნიკაციო ამოცანა გვაქვს შესასრულებელი (განხორციელება შესაძლებელია სკაიპში, ჩათრუმებში, ვიდეო-

შეხვედრებზე, სოციალურ ქსელებში ინტერაქციისას და ა. შ. ინტონაცია, თუ ხმოვან ჩანაწერებს ვიყენებთ ჩვენს სტუდენტებთან საურთიერთოდ. არავერბალური ენა - ვიდეოჩანაწერების შემთხვევაში და ა. ენა, რომლებსაც ვიყენებთ ელექტრონული საშუალებების „ასამეტყველებლად“, უნდა იყოს მარტივი, გასაგები, გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომების გარეშე ინტერნეტკომუნიკაციის ენა უნდა იყოს მარტივი, ადვილად გასაგები, გრამატიკული და სტილისტური შეცდომების გარეშე. თუკი საჭიროა აბრევიატურების გამოყენება, მაშინ ამ აბრევიატურების შესახებ წინასწარ უნდა იყოს ცნობილი კომუნიკაციის პროცესის ყველა მონაწილისათვის. ყოველი სიტყვა თუ ფრაზა უნდა იყოს მიმართული იმისაკენ, რომ ინფორმაციის მიმღებმა სწორად გაიგოს გაგზავნილი შეტყობინება და გაუგებრობამ არ გამოიწვიოს კომუნიკაციის პროცესის შეწყვეტა. ფიგურალური და მეტაფორული ენა, შესაძლოა, სასაიმოვნოა მოსასმენად, მაგრამ ისინი დატვირთულია განსხვავებული მნიშვნელობებით სხვადასხვა კულტურული და ისტორიული გამოცდილების მქონე პირთათვის. ხშირად შეულებელია იმის განსაზღვრა, თუ რა კულტურული გამოცდილების მქონე პირთან გაქვთ კომუნიკაცია, ამიტომ თავი აარიდეთ მსგავსი ხერხების გამოყენებას, ამით მნიშვნელოვნად გააუმჯობესებთ წარმატებული კომუნიკაციის შანსს.

სწორად შერჩეულმა იუმორმა, შესაძლოა, “გააცოცხლოს” შეტყობინება და ადვილად აღსაქმელი გახადოს. მაგრამ არასწორად

შერჩეულმა იუმორმა, შესაძლოა, სრულიად დაანგრის ურთიერთობა. იხუმრეთ სიტუაციებზე და არა ადამიანებზე. გამორიცხეთ შეურაცხმყოფელი იუმორისტული გამონათქვამები და სარკაზმი. (<http://blog.tradepressservices.com/content/using-humor-in-business-communications/>).

ნუ გაგიტაცებთ სიმბოლოების ზედმეტად, არასაჭიროებისამებრ გამოყენება. ამით თქვენ, შესაძლოა, მკითხველის ყურადღება გაფანტოთ (ლომინაძე, გოჩიტაშვილი, 2012; 5-15).

გარდა ამისა, ელექტრონული საშუალებების მოხმარებისას სრულფასოვანი კომუნიკაციის დამაბრკოლებელ ფაქტორად შეიძლება იქცეს:

- მოსაუბრის სწრაფი მეტყველება;
- მისი ხმადაბალი ტემბრი;
- რამდენიმე მოსაუბრის ერთდროული საუბარი;
- ახალი სიტყვებისა და ფრაზების სირთულე და დიდი მოცულობა;
- წინადადებების რთული სტრუქტურა და ა.შ.

ზემოთ ჩამოთვლილი პირველი სამი შემთხვევა ეხება ჩათის, პრეზენტაციის და, ზოგადად, ისეთი კომუნიკაციის დროს, სადაც აუდირებაა საჭირო, ხოლო ბოლო ორი მათგანი შესაძლებელია დაბრკოლებად იქცეს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი კომუნიკაციის დროს.

### დასკვნები:

1. ელექტრონული საშუალებების ჩართვამ სასწავლო პროცესში უნდა უზრუნველყოს ყველა იმ საჭირო უნარისა და კომპეტენციის განვითარება და ცოდნის

ათვისების შესაძლებლობა, რომლებიც შემსწავლელის მიზნის მისაღწევად საჭირო და მან უნდა შეავსოს ის ხარვეზები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ენის მხოლოდ ტრადიციულ, პირისპირ სწავლებას ახლავს ხოლმე (განსაკუთრებით იმ მცირე, არასაერთაშორისო ენების სწავლებისას, რომლებზეც საგანმანათლებლო ბაზარზე დიდი მოთხოვნა არ არსებობს): მასწავლებლების ნაკლებობა, სასწავლო მასალების სიმცირე, არაავთენტური შინაარსის ან ერთფეროვანი ტექსტები და დავალებები; ენის ბუნებრივ მატარებელთან კომუნიკაციაზე ხელმიუწვდომლობა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სწავლების მრავალფეროვნება, განსახვავებული მეთოდებით მასალის მიწოდება აადვილებს და ახალისებს სწავლა-სწავლების პროცესს. მოსწავლე, რომელიც ინფორმაციას სრულიად განსხვავებულ პირობებში და განსახვავებული ფორმებით იღებს, უფრო სწრაფად აგებს კოდირების სისტემას და ახერხებს ინფორმაციის ორგანიზებას.

2. ენის ელექტრონული საშუალებების კურსში ინტეგრირებისას შესაძლებელი ხდება ენის შესწავლის რთული და ხანგრძლივი პროცესი გამრავალფეროვნდეს. სტუდენტი აღარ არის შეზღუდული დროსა და სივრცეში (შეუძლია მისთვის სასურველ დროსა და ადგილას გაიაროს კურსი). სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, მიუბრუნდეს მასალას, რამდენჯერაც მისთვის საჭიროა. ენის ელექტრონული კურსის ერთი გამოკვეთილი უპირატესობა ისაა, არსებობს მეტი შესაძლებლობა, რომ



შემსწავლელს წვდომა ჰქონდეს ენის ბუნებრივ მატარებელთან (მასწავლებლის / ტრენერის მიერ მართულ კურსებში ეს შეიძლება იყოს თავად ტუტორი, ვიდეო და აუდიოჩანაწერები, ჩათი...). ანუ, სტუდენტს დედამიწის ერთი ბოლოდანაც კი აქვს შესაძლებლობა, ჩაერთოს ინტერაქციაში სამიზნე ენის მატარებელთან (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს მცირე, „არაპოპულარული“ და ნაკლებად გავრცელებული ენების შემთხვევაში) და გასცდეს ხელოვნურ, მხოლოდ სასწავლო მიზნებისათვის შექმნილ მასალას, რომლებიც მნიშვნელოვნად ზღუდავენ ენის პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობას. სასწავლო კურსში მრავალფეროვანი სინქრონიული და ასინქრონიული კომუნიკაციის შესაძლებლობების გამოყენება (ჩათი, ბლოგები, სოციალური მედია, ფორუმი, ელექტრონული მიმოწერა, „ვაითბორ-

დები“...). ეს აქტივობები საშუალებას იძლევა, რომ სტუდენტები რეალურ, ცოცხალ კომუნიკაციაში ჩაერთონ, მათ შორის - იმ ადამიანებთანაც, რომელთათვისაც შესასწავლი ენა მშობლიურია. ეს მეორე/უცხო ენის კურსში ელექტრონული საშუალებების გამოყენების ერთ-ერთი გამოკვეთილი უპირატესობაა.

3. ელექტრონული სასწავლო პლატფორმები მნიშვნელოვანი რესურსია უცხო მეორე/უცხო ენის თვითშემსწავლელთათვის, რომელიც მნიშვნელოვან და მზარდ სეგმენტს წარმოადგენს თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში.

4. დამატებით გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც წარმოდგენილი აქტივობები დაეხმარება მეორე/უცხო ენის კურსის ავტორებსა და პედაგოგებს კურსის დიზაინისა და სწავლების პროცესში:

სასწავლო ამოცანა	კურსისათვის რეკომენდებული სასწავლო აქტივობები ელექტრონული საშუალებების გამოყენებით
კითხვა	ტექსტები, რომლებიც ინტეგრირებულია სასწავლო კურსში; ინტერნეტრესურსების ლინკები; კურსში ინტეგრირებული ან მასწავლებლის მიერ სტუდენტისათვის მიწოდებული Pdf ან ვორდის დოკუმენტები, მასწავლებლის უკუკავშირი ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან ფორუმზე (ჯგუფური ან პოზიტიური უკუკავშირის შემთხვევაში).
ზეპირი პრეზენტაცია	აუდიო/ვიდეო კლიპები; ვებინარებსა და ვიდეოკონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები და პრეზენტაციები.
დიალოგში მონაწილეობა	სტუდენტების ღია აუდიოკონფერენცია; ჩათის სესიები, სოციალურ ქსელებში ვერბალური კომუნიკაცია; კითხვა-პასუხის სესიები მასწავლებელსა და სტუდენტებს, თავად სტუდენტებს შორის სკაიპის ან ჩათის რეჟიმში
გრამატიკა და ლექსიკა, შემოწმება და შესწორება	კურსის ფარგლებში ინტეგრირებული გაკვეთილები (თეორია + პრაქტიკული სავარჯიშოები) და ლექსიკონები; ზედმიწევნით დეტალური პასუხების ფურცელი; რეკომენდებული პასუხები; დამატებითი და მაკორექტირებელი აქტივობები და ახსნა

	<p>სტუდენტის მოთხოვნის მიხედვით. სასარგებლო რესურსების ლინკები კურსის ფარგლებს გარეთ.</p>
წერიტი უნარების განვითარება	<p>თემატური სავარჯიშოები, რომლებიც ინტეგრირებულია კურსის შინაარსში. სწორი და/ან სავარაუდო პასუხების დაწვრილებითი ფურცელი. ტეასტის შესაქმნელი დავალებები და მასწავლებლის კომენტარები შესრულებულ დავალებასთან დაკავშირებით; ეფექტურია რეალური კომუნიკაცია იმეილით სტუდენტსა და მასწავლებელს და, აგრეთვე, სტუდენტსა და თანაშემსწავლეებს შორის უკუკავშირის მიზნით.</p>
კურსის ფარგლებში დამატებითი უნარების განვითარება (მაგალითად, (სოციალურულ და მულტიკულტურული კომპეტენციები...))	<p>არსებული ვებრესურსები შესასწავლ ენაზე, კურსში ინტეგრირებული ნაწყვეტები ფილმებიდან, სატელევიზიო პროგრამებიდან ტელეშოუებიდან შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით. კურსში ჩართული ტექსტური მასალა: ჟურნალების, გაზეთების, რესტორნის მენიუს, ტურისტული ბროშურების, სარეკლამო ტექტების შეთავაზება თემატიკის მიხედვით.</p>
სტუდენტის მოტივაცია, წახალისება	<p>კურსში ჩართული „წარმატებული ისტორიების“ მაგალითები (კურსდამთავრებულის აუდიო/ვიდეო ჩანაწერი ან ტექტური მასალა, რომელშიც აცნობს სხვებს, რა წარმატება მოუტანა კურსმა), ვერბალური შექება/დაჯილდოვება იმეილით, ფორუმზე, ვიდეოკონფერენციაზე...</p>
უკუკავშირი მასწავლებლისაგან	<p>წერილობითი უკუკავშირი იმეილით. ჩათისა და ზეპირი კომუნიკაციისას ვერბალური უკუკავშირი ენის სხვადასხვა სამეტყველო სტილის გამოყენებით.</p>
მოსმენის უნარის განვითარება	<p>ინსტრუქციების, ტექსტების, პრეზენტაციების აუდიოჩანაწერები; თანაკურსელებთან და მასწავლებელთან კომუნიკაცია ჩათში; კურსში ინტეგრირებული აუდიო/ვიდეოჩანაწერები, მოკლე სცენები, ნაწ 44 ი ფილმებიდან, სიმღერების ტექსტები ...</p>
ტესტი მოსმენილის გაგების შესამოწმებლად	<p>აუდიოჩანაწერები, ტესტი.</p>

### გამოყენებული ლიტერატურა:

- სიერა - Patricia Sierra, Humanising Language Teaching Magazine for Teachers and Teacher Trainers; <http://www.hlomag.co.uk/jun09/sart06.htm> .
- გოჩიტაშვილი; ლომინაძე; მანჯგალაძე - გოჩიტაშვილი ქ. ლომინაძე თ. მანჯგალაძე მ; 2010; ენის ელექტრონული სწავლება და ვირტუალური სასწავლო გარემო; ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები; 127-132
- იონგი -Jeong-Bae Son jeong-bae.sonusq.edu.au; University of Southern Queensland, Australia The Electronic Journal for English as a Second Language; June 2011 — Volume 15, Number 1; <http://www.tesl-ej.org/wordpress/issues/volume15/ej57/ej57int/>
- ვილკინსი - Wilkins D, 1972, *Linguistics and Language Teaching*, London, Edward Arnold, 28.
- სამოვარი; პოტერი; ჯეინი; 1981, 5 - Samovar Larry A., Porter Richard E, & Jain Nemi C; Understanding intercultural communication, Wadsworth Pub. Co. (Belmont, Calif. 1981, p. 5
- აბისარმა - Nada Salem Abisamra, Teaching Culture. Strategies and Technologies. <http://www.nadasisland.com/culture/>
- ვარშაუერი- M. Warschauer, “Comparing face-to-face and electronic discussion in the second language classroom.” CALICO Journal, 1995, 13(2 & 3), pp. 7-26.
- ოქსფორდი - R. Oxford, 1990; Language learning strategies. New York: Newbury House. p.79.
- გოჩიტაშვილი - K. Gochitashvili, 2012; The Role of Teacher in the Multimedia-based Foreign Language Classes; Application of Information and Communication Technologies; 364-366
- ლომინაძე, გოჩიტაშვილი - თ. ლომინაძე; ქ. გოჩიტაშვილი 2012; ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ტიპები ინტერნეტსივრცეში; კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XXVII; 5-15) Lominadze T. Gochitashvili K; Verbal and Non-verbal Communication in the Internet Space; Issues of History and Theory of Culture XXVII); (<http://blog.tradepressservices.com/content/using-humor-in-business-communications/>